ხუთშაბათი 22 თებერვალი 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 29 (323)

ფასი 40 თეთრი




## ნომერშია

## არძინბა «კუკუდამალობანას» გვეთამაშება. რუსეთი — «დაჭერობანას»

ჩრდილოეთის ყინული თითქოს დაიძრა, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" ჟინით შეპყრობილი არძინბა მოლიპულ გზაზე დამუხრუჭებას ცდილობს, პოლიტიკა კი — რაფინირებული, შენიღბული მონსტრი, მშვიდი, დახვეწილი ღიმილით, მშიერ, გაღატაკებულ, დაღლილ ხალხს პანდორას ყუთში დარჩენილ „იმედს" უტოვებს სანუგეშოდ.

იხ. მე—2 გვ.

## მანდატის გაგრძელების დილემა

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რუსეთში საქართველოს საელჩოს მაღალი რანგის თანამშრომელთან საუბარში რუსეთის გენერალიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიზანშეუწონლად მიაჩნია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელება, ვინაიდან თბილისსა და სოხუმს ჯერაც არ შეუმუშავებიათ ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სამშვიდობო ძალების ამოცანები რეგიონში. მან განაცხადა, აგრეთვე, რომ არსებობს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩათრევის საშიშროება. „მოჩვენებითი სიმშვიდის მიუხედავად, სიტუაცია რეგიონში კვლავაც რთულია, ვინაიდან მხარეები სერიოზულ კომპრომისებზე არ მიდიან". მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ამასწინანდელი ქართულ-აფხაზური კონსულტაციები, რომლებიც მოსკოვში გაიმართა რუსეთის შუამავლობით, პრაქტიკულად უშედეგოდ დამთავრდა.

### ?!

ამ დღეებში სოხუმში იმყოფებოდა გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაცია, დეპუტატ დიტრიხ სტერლინგისა და ბუნდესტაგის მრჩევლის, ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორის თეოდორ ჰანსის შემადგენლობით. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ლეონიდ ლაკერბაიას, პარლამენტის სპიკერს სოკრატ ჯინჯოლიას და ვიცე-პრეზიდენტს ვალერი არშბას. საუბარი შეეხო ქართულ — აფხაზურ კონფლიქტსა და ზოგად აფხაზურ პრობლემებს. ქართველი პოლიტიკოსების აზრით, რომელთაც არ ისურვეს ვინაობის დასახელება, ბუნდესტაგის წარმომადგენლების ამგვარი ვიზიტი საქართველოს გვერდის ავლით, მაშინ, როდესაც თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ბუნდესტაგის დელეგაცია აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. ასევე გაუგებარია რუსეთისა და მისი საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია, რომლის ხელშეწყობის და ვიზირების გარეშე დელეგაცია სოხუმში ვერ ჩავიდოდა.

იპრინდა

## პარლამენტი

## პარლამენტი კომერციულ ბანკებს „მიადგა"

გუშინ გაიმართა საქართველოს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა, სადაც განიხილეს კანონპროექტი „საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". პარლამენტარებს შორის დებატები გამოიწვია კომერციული ბანკებისთვის მეწარმეობის უფლებების მინიჭების საკითხმა.

პარლამენტის საფინანსო — საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ ჯიბუტმა განაცხადა, რომ „საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონპროექტის განხილვა ცალკე კანონად არ შეიძლება. იგი ზემოთ აღნიშნულ კანონთან ერთად არეგულირებს საქართველოს ბანკების საქმიანობას. კანონპროექტში სადავო საკითხს წარმოადგენდა ის, რომ მასში გათვალისწინებული არ იყო ყველა ტიპის კომერციული ბანკების საქმიანობა. პროექტში მხოლოდ ისეთი ტიპის კომერციული ბანკების საქმიანობა იყო შეტანილი, რომლებიც სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენს. წინასწარი კონსულტაციების შედეგად კანონპროექტში შეიტანეს შესწორება და დაამატეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის კომერციული ბანკები. კანონპროექტი მიიღეს პირველი მოსმენით.

იპრინდა

## იუბილე

## რუსეთი სამშობლოს დამცველის დღეს აღნიშნავს

ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფების პრეს-ცენტრის ხელმძღვანელის პოლკოვნიკ გენადი დოლგაჩოვის თქმით, 23 თებერვალს რუსეთი აღნიშნავს სამშობლოს დამცველის დღეს. ამასთან დაკავშირებით დღეს თბილისში, ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბში გაიმართება საზეიმო შეკრება და კონცერტი. ხვალ კი შტაბის ხელმძღვანელობა გამარჯვების პარკში გვირგვინით შეამკობს უცნობი ჯარისკაცის საფლავს.

იპრინდა

## რეგიონი

## ჩიბიროვი და ოსი ახალგაზრდობა

19 თებერვალს ცხინვალის ცენტრში 3 ათასამდე ახალგაზრდამ პიკეტი მოაწყო და მთავრობის გადადგომა მოითხოვა. მოპიკეტეები პროტესტს გამოთქვამდნენ ხელისუფლების მიერ 206 ტონა ჰუმანიტარული ტვირთის მითვისების გამო. ახალგაზრდებს შეხვდა სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებული უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლუდვიგ ჩიბიროვი. იგი დაჰპირდა მათ, რომ მოიწვევს პარლამენტის საგანგებო სესიას და მიაღწევს დამნაშავეთა თანამდებობიდან გადაყენებას.

## მსოფლიო

## «უძღები შვილის» დაბრუნება



ერაყში ძმასთან და ოჯახთან ერთად იორდანიიდან დაბრუნდა პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის სიძე — ერაყის საიდუმლო სამხედრო პროგრამის ყოფილი უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჰუსეინ ქამალ ჰასანი. მისი განცხადებით, გადაწყვეტილება ბაღდადში დაბრუნების შესახებ მიიღო იორდანიის მთავრობამ, რომელიც ბოლო 6 თვის განმავლობაში მათ პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევდა. იორდანიის მთავრობის აზრით კი, ჰუსეინის ოჯახის წევრთა ნოსტალგია სულ უფრო ძლიერდებოდა და გაუსაძლისიც კი შეიქნა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელი იყო მათი შენახვის ხარჯებიც.

სიძემ თხოვნით მიმართა სადამ ჰუსეინს, რომ დახმარებოდა მას საზღვრის უსაფრთხოდ გადაკვეთაში. ერაყის პრეზიდენტმა, რომელიც აგვისტოში ფრიად გააოცა სიძის მიერ ერაყის ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის პროგრამის საიდუმლოების აშშ-თვის გადაცემამ, ცოდვა შეუნდო მას და სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა.

## ნიუ-ჰემპშირში რესპუბლიკელებს ბილ კლინტონი არც გახსენებიათ

რესპუბლიკელთა პრაიმარიზი (პირველადი არჩევნები) ნიუ-ჰემპშირში სწორედ რომ ცხენების დოღს ჰგავდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში მდგომარეობა მუდმივად იცვლებოდა. თავდაპირველად რესპუბლიკელებს თერთმეტი კანდიდატი ჰყავდათ: პატრიკ ბიუკენენი, სტივ ფორბსი, ბობ დოული, ფილ გრემი, არლენ სპექტერი, პიტ უილსონი, ალან კიისი, ლემორ ალექსანდერი, ბობ დორნანი, მორი ტეილორი, დიკ ლუგარი. მათგან ბრძოლას დასაწყისშივე გამოეთიშნენ კალიფორნიის გუბერნატორი პიტ უილსონი და პენსილვანიელი სენატორი არლენ სპექტერი (მიზეზად უსახსრობა დასახელდა, რადგან წინასაარჩევნო კამპანია უამრავ ხარჯებს მოითხოვს). სულ ახლახანს დათმო პოზიცია

გაგრძელება მე—2 გვ.

## ახალი საზღვარგარეთი

## მაინც რა მოხდა ნოვოგროზნენსკში?!

იტარ-ტასის ცნობით, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მორიგი ოპერაცია დაასრულეს. ნოვოგროზნენსკის დასახლება მთლიანად გაწმენდილია დუდაევის მებრძოლებისგან. ოფიციალური მონაცემები რუსეთის ჯარების მსხვერპლის შესახებ ჯერ არაა დაზუსტებული.



გუშინდელი გაზეთები დაწვრილებით აშუქებდნენ ნოვოგროზნენსკის ოპერაციას. ხასა-ვიურტის თემის ლიდერმა „იზვესტიას" შეატყობინა, რომ დასახლების მიმართულებით, დაღესტნის მხრიდან „გრადის" ტიპის რაკეტებს ისროდნენ, გროზნოს მხრიდან კი დაფიქსირდა საავიაციო დარტყმები. საერთოდ, ინფორმაციები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგან საბრძოლო მოქმედებების რაიონში ჟურნალისტები არ შეუშვეს. ჯერჯერობით უცნობია, მოასწრეს თუ არა გახიზვნა მშვიდობიანმა მცხოვრებლებმა.

გუშინ ფედერალური ჯარები აგრძელებდნენ ნოვოგროზნენსკის განაღმვას. პროგრამა „ვესტის" ინფორმაციით, აღმოჩენილია დიდი რაოდენობით იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობა, რუს მებრძოლებს ხელში ჩაუვარდათ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჩეჩნების მხარეს იორდანიის მოქალაქეებიც იბრძოდნენ.

სიწყნარე არც სხვა დასახლებებშია. იტარ-ტასის ცნობით, ერთ-ერთ სოფელში თავს დაესხნენ რუსეთის ჯარების საგუშაგოს. დაჭრილია 4 რუსი ჯარისკაცი.

ბოლო მონაცემებით, ფედერალური ძალების დისლოკაციის ადგილებს 16-ჯერ გაუხსნეს ცეცხლი, მათ შორის, გროზნოში — 12-ჯერ. მსხვერპლის რაოდენობა ზუსტდება.

## ვიზიტი

## სანქტ-პეტერბურგში ქართულმა მხარემ აიძულა რუსი კოლეგები, დათმობაზე წასულიყვნენ

საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნით რუსეთი ცდილობდა და ცდილობს გარკვეული პოლიტიკური რეალობის დაფიქსირებას — სიმბოლოებს პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ელცინის გუნდი დსთ-ს სივრცეზე ქმნის იმგვარ სისტემებს, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების ხაზით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ არეალში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ჯერჯერობით, ორივე საბჭო (სახელმწიფოს მეთაურთა და პარლამენტის თავმჯდომარეთა), რომელიც ამ სივრცეში რუსეთის ძალისხმევით შეიქმნა, მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს იმგვარი სიმბოლოებია, რომელთაც უეჭველად ძალუძთ, რეალური შინაარსი შეიძინონ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ პროცესთა ვექტორი დსთ-ს წევრი ქვეყნების ნამდვილი ინტეგრაციისკენ გადაიხრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომელსაც დღეს არანაირი პოლიტიკური ფუნქცია არ გააჩნია, შეიძლება გარკვეულ ვითარებაში ინტეგრაციულ პროცესთა იურიდიულად ლეგიტიმაციის საშუალებად მოგვევლინოს.

თუმცა, ეს ყოველივე ჯერ არ ქცეულა რეალობად. საქართველო კი უკვე აქტიურად ცდილობს (და სავსებით სამართლიანადაც), ორგანიზაცია მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი ინტერესების დასაცავად. 19 იანვარს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის ბლოკირების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებამ დსთ-ს წევრ ზოგიერთ ქვეყანაში (უპირველეს ყოვლისა, რუსეთში) არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ამდენად, საჭირო გახდა იურიდიული ლეგიტიმაცია საკანონმდებლო ორგანოთა საბჭოს დონეზე. რა თქმა უნდა, როგორც სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს, ასევე საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გადაწყვეტილებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, საკითხის პოლიტიკური ასპექტი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე იურიდიული ან პრაქტიკული. საქართველოს დელეგა-

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა 1994 წელს შეიქმნა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის, ვლადიმერ შუმეიკოს ინიციატივით. ამ ინიციატივას იმ დროს სულ რამდენიმე ქვეყანამ დაუჭირა მხარი, მათ შორის, ყველაზე გულმხურვალედ — საქართველომ — მაშინდელი სპიკერის, ბატონ ვახტანგ გოგუაძის თაოსნობით. სწორედ ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ ასამბლეის გენერალური მდივნის მოადგილედ ამ ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენელი — ზურაბ ჩიკვილაძე იქნა დანიშნული.

გაგრძელება მე—2 გვ.

## საქართველო

## დახურულ კარს მიღმა

გუშინ გაიმართა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციათა შეხვედრაზე მისაღები ხელშეკრულებათა პროექტი და ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

## სტუმარი ღვთისაა

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 20 თებერვალს ბათუმში ჩავიდა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პანტელეიმონ გიორგაძე. სტუმარი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ. პ.გიორგაძემ დადებითად შეაფასა პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ავტონომიურ რესპუბლიკაში.

## „მენავთობეთა" შეკრება ბაქოში

21 თებერვალს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია ბაქოს გაემგზავრა. სადაც დღეს დაიწყება აზერბაიჯან — თურქეთ — საქართველოს გაერთიანებული მუშა ჯგუფის შეკრება. შეხვედრაში თურქეთის მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, აზერბაიჯანის მხრიდან ნავთობის სახელმწიფო კომპანიის და აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის წარმომადგენლები.

## მოლ[illegible] მოლ[illegible]

საქართველოს [illegible] უდგა მუშა [illegible] ქტზე, რომელიც [illegible] ლისწინებს აზერბაიჯანის ადრეული [illegible] ბის ცოთისა და [illegible] მის პორტებამდე [illegible] ნიგზის მეშვეობით ტრანსპორტირებას [illegible] ნამ, სანამ არ აღდგება ნავთობსადენი. პროექტში მონაწილეობს ამერიკული ფირმა „შევრონ ოვერსიზ". ამერიკელი ექსპერტები, რომლებმაც უნდა გადაჭრან ეს პრობლემა, საქართველოში 27 თებერვალს ჩამოვლენ.

იპრინდა

## ლამაზი ქალი



## კლაუდია შიფერი

მიუნხენში, საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე ფოტომოდელი სხვადასხვა საკითხებზე ესაუბრება კორესპონდენტს.

იხილე მე—3 გვ.

## კრიმინალური ქრონიკა

## ოპიუმის მუსუსი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობით, 20 თებერვალს შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კახაბერში მცხოვრები ანზორ კაკაბაძე, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 86 გრამი ოპიუმი. მიმდინარეობს გამოძიება.

იპრინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გახსოვდეს აფხაზეთი

# არძინბა «კუკუდამალობანას» გვეთამაშება, რუსეთი — «დაჭერობანას»

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ჩეჩნეთის ტრაგიკული მოვლენების ფონზე, პოლიტიკოსთა და საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა აფხაზეთის თემა. ხანგრძლივი პერიოდით ეგრეთ წოდებული „მივიწყებული მოლაპარაკებების“ სერიალი, 19 იანვრის სამიტის შემდეგ ისევ განახლდა.**

შეიძლება ითქვას, რომ მკვდარი წერტილიდან გაყინული პროცესის დაძვრა, მნიშვნელოვანწილად, რუსეთის პოლიტიკის შეცვლამ განაპირობა. ჩეჩნეთის მოვლენებმა ბევრ რუს პოლიტიკოსს დაანახა, რომ ის „აფხაზი მამულიშვილნი“, რომელთაც საკუთარი მიწა-წყლიდან 300 ათასი კაცი აყარეს, თურმე, არაფრით გამოირჩევიან ბუდიონოვსკის, პერვომაისკოეს და ყიზლარის ტრაგედიის ავტორებისგან.

ამჟამად მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებმა ცხადყო, რომ რუსეთი კვლავ აქტიურად თამაშობს მედიატორის როლს. მისი ლოიალური დამოკიდებულება არძინბასადმი რამდენადმე შეიცვალა. თუ რუს პოლიტიკოსთა ხმამაღალ განცხადებებს ვირწმუნებთ (რაც აქამდეც მრავალად გვსმენია), ისინი მთლიანად მხარს უჭერენ კონფლიქტის მოწესრიგების ქართულ ვარიანტს, რაც აფხაზეთის ავტონომიის უფლებამოსილების რამდენადმე გაფართოებას ითვალისწინებს.

არძინბა კი ცალკეულ პოლიტიკოსებთან შეხვედრისას თუ პრესკონფერენციებზე იგნორირებას უკეთებს კონფლიქტის დარეგულირების ქართულ მოდელს და დაჟინებით მოითხოვს დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილების გაუქმებას, აფხაზეთისთვის სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენას.

### სანქციების გაცემა ადვილია, შესრულება — ძნელი, პასუხისმგებლობის აღება — უფრო ძნელი

სამიტზე მიღებულმა აფხაზეთის დოკუმენტმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატაში. დეპუტატთა ერთი ნაწილი გაგებით მოეკიდა ამ დოკუმენტს, რომელიც პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, ხოლო კანონმდებელთა მეორე ნაწილმა შეშფოთება გამოთქვა სამიტის გადაწყვეტილების გამო და მისი რევიზია მოითხოვა. მათი აზრით, აფხაზეთის ბლოკადა დამღუპველი იქნება იქ დარჩენილი მოსახლეობისთვის.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა მოსკოვში სახელმწიფო დუმის დეპუტატებთან შეხვედრისას განმარტეს, რომ აფხაზეთის ბლოკადა არ ეხება ჰუმანიტარულ ტვირთს, რომელიც შეუფერხებლად მიეწოდება აფხაზეთს, მაგრამ ტვირთგადაზიდვები საქართველოს მთავრობამ უნდა გააკონტროლოს. დუმის კომუნისტთა ფრაქციის მოსაზრება კი, საქართველოს და რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებისგან საპარლამენტო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც დოკუმენტის რეალიზაციის პროცესს გააკონტროლებს, ჯერჯერობით მხოლოდ სურვილის დონეზე რჩება, რამეთუ, აფხაზეთის, კერძოდ კი, სოხუმის პორტში ტვირთმზიდი გემების მიმოსვლა, საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად, კვლავ გრძელდება.

### სამიტის დოკუმენტს მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭომაც.

გადაწყვეტილებების რეალურად განხორციელება, მართლაც რომ იმ ძალებზეა დამოკიდებული, ვინც მხარი დაუჭირა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებას აფხაზეთისთვის სანქციების შემოღებით და რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელებით, თორემ სანქციების გაცემა ადვილია, შესრულება მხოლოდ ძნელი.

დღემდე კარგად გვახსოვს პრეზიდენტ ელცინის წარმომადგენლის ბორის პასტუხოვის ხშირი სტუმრობა საქართველოში, ფიჩიანი კამფეტებივით ჩამორიგებული დაპირებები და შემდეგ მაინც გაუთავებელი სისხლისღვრა აფხაზეთში... ამიტომ, ურწმუნო თომას კომპლექსით შეპყრობილთ, დღეს ძნელად თუ დაგვარწმუნებს ვინმე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გულწრფელობაში. სამწუხაროდ, ამ ეჭვის უტყუარ საფუძველს იძლევა ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას და შემდეგ ომის დასრულებისთანავე გამართული მოლაპარაკებები, რომლებმაც წყალობითაც აფხაზ სეპარატისტთა დაჯგუფება დღემდე კერკეტი კაკალივითაა. მეტიც, იგი შემოდგომის ბუზივით სულ მწარედ და მწარედ იკბინება. მათი არაერთგზის განადგურებული სამხედრო პოტენციალი კვლავ ივსება ახალი ცოცხალი ძალით და ტექნიკით, და რაც მთავარია, დღითიდღე აუტანელი ხდება არძინბას და მისი დამქაშების ცინიზმი.

### იაკუშევზე „ჯვარი გვაქვს დაწერილი?“ ანუ გენერალი უარყოფს, შევარდნაძე ადასტურებს...

მოსკოვის სამიტის დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტია რუსეთის სამშვიდობო ძალების ახალი მანდატი, რომლის პირობებიც დღედღეზე უნდა დადგინდეს.

მანამდე კი... რა მოგვიტანა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალების ორწლიანმა მოღვაწეობამ?

თუ ჯერ კიდევ 1994 წლის 21 ოქტომბერს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ გენერალ იაკუშევის ინტერვიუს გავიხსენებთ, აფხაზეთის მომავალი სახელმწიფოებრიობის პრობლემასთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრების გამოხატვისას, გენერლის სიმპათიები აშკარად აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისკენ „იხრება“, სადაც გენერალიტეტისთვის უჩვეულო პირდაპირობით აცხადებს, რომ აფხაზეთი დე-იურედ არავინ ცნო, მაგრამ დე-ფაქტოდ იგი თურმე არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტით. მისი აზრით, გასული საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა და მხოლოდ მოკლე ისტორიული მონაკვეთის მანძილზე მიეკუთვნებოდა სოციალისტურ საქართველოს. რადგან ახლა საქართველო 1921 წლის კონსტიტუციას დაუბრუნდა, სადაც აფხაზეთი თურმე არც ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები, იგი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი აღარ შედის საქართველოს შემადგენლობაში და ამიტომაც, აფხაზმა ხალხმა საკუთარი ბედი თავად უნდა აირჩიოს, ხალხი კი, რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას უჭერს მხარს.

ამ პუბლიკაციამ იმთავითვე საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საქართველოში. სახელმწიფოს მეთაურმა კი სამშვიდობო ძალების მთავარსარდლის უხეში ჩარევა პოლიტიკურ პროცესებში უარყოფითად შეაფასა და მისი გადაყენების შესაძლებლობაც დაუშვა. თავად იაკუშევმა ქართულ მხარესთან პირად საუბრებში „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში „გაპარული შეცდომა“ კორესპონდენტის არაკომპეტენტურობას გადაბრალა, სინამდვილეში, ოფიციალურად გაპროტესტების მცდელობაც კი არ ჰქონია. მაშინვე სახელმწიფოს მეთაურმა ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელების მიზანშეწონილობაც. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის სამშვიდობო ჯარი, გენერალ იაკუშევის მეთაურობით, დღემდე მშვენივრად განაგრძობს მოღვაწეობას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში აშკარად გამოიკვეთა რუს ოფიცერთა და აფხაზ „ბოევიკთა“ „ძმური კავშირი“, სამშვიდობო ძალების მხრიდან ბანდფორმირებათა ხელშეწყობა ძარცვა-კაჩაღობაში, სტიქიურად საკუთარ მიწაწყალს დაბრუნებულ ქართველთა აწიოკება-განადგურებაში, ქართველთა მძევლად აყვანაში. „რუსეთის სამშვიდობო ძალები ხიმბილურ საგუშაგოებს აყენებენ აფხაზეთის ტრასებზე ფულის გამოძალვის მიზნით, გააქვთ ციტრუსი, იშენებენ სახლებს“, - აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი. იაკუშევი კი გვამაღლის: „ჩვენ მზად ვართ კიდევ რამდენიმე წელი ვისხდეთ სანგრებში, სანამ აფხაზეთში პოლიტიკური მეთოდებით არ დამყარდება მშვიდობა“.

ჩვენთვის ჯერჯერობით არაა ცნობილი, კიდევ რამდენ ხანს მოუწევს იაკუშევს „სანგარში“ ჯდომა. თუმცა, ერთი რამ დღესავით ნათელია - გენერალს ნაკლებად აღელვებს აფხაზეთში მშვიდობის და წესრიგის დამყარება, უფრო მეტიც, იგი ფარისევლურად ცდილობს, ვითომდაც „მშვიდობის მტრედის“ მანტიით შემოსვას და აფხაზი და ქართველი ხალხის უბედობით „შეწუხებული“, დაპირისპირებულ მხარეთა დამორიშორებით „ქანცგამოლეული“ აცხადებს, რომ აფხაზეთში შექმნილია ლტოლვილთა დაბრუნების პირობები.

ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების გარანტიებზე რა მოგახსენოთ და, გენერალს მოახლოებული სიბერის ნეტარად და ბედნიერად გატარება მაინცდამაინც ზღვისპირეთში მტკიცედ რომ აქვს გადაწყვეტილი, ეს ეჭვგარეშეა. ბოლოს და ბოლოს, სამშვიდობო ძალების განლაგება მდინარე ენგურზე რომ აუცილებელია, სადღეისოდ არანაირ ეჭვს აღარ ბადებს, მხოლოდ სამშვიდობო ჯარის მანდატის პირობების სრულფასოვნად შესრულებაში „გვეპარება ეჭვი“.

და მაინც... რა გახდა ერთი რუსის გენერალი? ამაზე ფიქრი, ალბათ, პირველ ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებას მართებს.

### აფხაზთა 99,9 პროცენტს რუსეთთან გაერთიანება სურს?

აფხაზ მწერალს ბაგრატ შინკუბას აქვს რომანი „უკანასკნელი წასულთაგანი“. იგი ეძღვნება უბიხი ერის ტრაგედიას, სრულ გენოციდს. როგორც ცნობილია, ეს ერი მთლიანად ამოწყვიტეს. დღეისთვის თურქეთში ცხოვრობს უკანასკნელი უბიხი ტავფიქ ესენჩი. მას ჰყავს გათურქებული შვილები. ასე რომ, ადრე თუ გვიან, ტავფიქ ესენჩთან ერთად მოკვდება უბიხური ენაც.

როცა ბაგრატ შინკუბა ხელს აწერდა ე.წ. „აფხაზურ წერილს“ და „ლიხნის მოწოდებას“, რომელშიც აფხაზები ყველაზე უბედურ ერად არიან წარმოჩენილნი, ნუთუ, ერთი წუთით მაინც არ გაახსენდა მეზობელ და მონათესავე ერთა ბედი!

როცა შინკუბა და სხვა აფხაზი „მამულიშვილნი“ ამ ანტიქართულ პასკვილებს თითხნიდნენ, განა არ იცოდნენ, რა ბედი მოელოდა აფხაზ ერს რუსეთის შემადგენლობაში? რა თქმა უნდა, იცოდნენ, რადგან თვალწინ ჰქონდათ მეზობელ ერთა ტრაგიკული ხვედრი. ძნელად დასაჯერებელია, რომ აფხაზი სეპარატისტები, რომელნიც რუსეთისკენ ექაჩებიან თავიანთ თამემამულეებს, არ იცნობენ ჩრდილო კავკასიელი ერების ყოფას, რაც მათ რუსეთთან „ძმურმა კავშირმა“ მოუტანა!

### წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, არძინბა კი ისევ იმ არძინბად დარჩა

საქართველოში სახელმწიფოს ფედერალურ პრინციპებზე მშენებლობას ეყრება საფუძველი. ქვეყნის კონსტიტუციაში საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ ღიადაა დარჩენილი. კონსტიტუციაში ამ მუხლის დაფიქსირება მხოლოდ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის დადგენის შემდეგ გახდება შესაძლებელი. დღეს კი საქართველომ დაპირისპირებულ მხარეს, კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოწესრიგების მიზნით, წინადადებათა პაკეტი შესთავაზა, რომელიც აფხაზეთის სტატუსს ფედერალური სახელმწიფოს ჩარჩოებში განსაზღვრავს. კერძოდ:

აფხაზეთი, როგორც ფედერაციის სუბიექტი, უფლებამოსილია, ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია, ჰიმნი, დროშა, გერბი, ჰყავდეს პარლამენტი, აღმასრულებელი ორგანო, უმაღლესი სასამართლო და სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტიკა, რომელთა კომპეტენციებსაც ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუცია განსაზღვრავს; აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართულთან ერთად გამოცხადდება აფხაზური ენაც.

აფხაზეთის ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, უმაღლესი სასამართლო და პროკურატურა, კულტურის, განათლების და ჯანდაცვის საკითხები, ვაჭრობა და სხვა.

ფედერალური ორგანოს კომპეტენციებს განეკუთვნება: საშინაო პოლიტიკა და ეკონომიკა, შეიარაღებული ძალები და უშიშროება, სავალუტო-საფინანსო სისტემა, საბაჟო მომსახურება, ფედერალური ბიუჯეტი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვა.

აფხაზეთი უფლებამოსილია, აწარმოოს საერთაშორისო მოლაპარაკებები ფედერალურ ორგანოებთან შეთანხმებით; ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოში განისაზღვრება აფხაზეთის დეპუტაციის რაოდენობაც.

სამწუხაროდ, ვლადისლავ არძინბა ჯიუტად უარყოფს შემოთავაზებულ წინადადებებს, დაჟინებით აცხადებს რა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავისუფლებისმოყვარე აფხაზ ერს უნიტარული სახელმწიფოს მშენებლობისკენ უბიძგებს. სამაგიეროდ, თავად არძინბა გვთავაზობს მისეულ წინადადებებს, რაც ძველის მხოლოდ კოსმეტიკური შელამაზებაა და სხვა არაფერი.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მოსკოვური მოლაპარაკებები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს. არძინბა ჯერჯერობით არ თმობს პოზიციებს, ქართული მხარე რიგ დათმობებზე მიდის, რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერი სელეზნიოვი აცხადებს, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ქვეყნის შიგნით უნდა დარეგულირდეს, რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას; რუსეთის სასაზღვრო დეპარტამენტთან შეთანხმებით, რუსეთ-საქართველოს საზღვარს მდინარე ფსოუზე რუსებთან ერთად ქართველი მესაზღვრეებიც დაიცავენ (ყოველ შემთხვევაში, ასეა გაცხადებული).

+ + +

ჩრდილოეთის ყინული თითქოს დაიძრა, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ჟინით შეპყრობილი არძინბა მოლიპულ გზაზე დამუხრუჭებას ცდილობს, პოლიტიკა კი — რაფინირებული, შენიღბული მონსტრი, მშვიდი, დახვეწილი ღიმილით, მშიერ, გაღატაკებულ, დაღლილ ხალხს პანდორას ყუთში დარჩენილ „იმედს“ უტოვებს სანუგეშოდ.

დიანა გაბროშვილი

## მსოფლიო



# ნიუ-ჰემპშირში რესპუბლიკელებს ბილ კლინტონი არც გახსენებიათ

პირველი გვერდიდან



ბილ კლინტონი

მოითხოვს). სულ ახლახანს დათმო პოზიცია 64 წლის ტეხასელმა სენატორმა ფილ გრემმაც, რომელიც მხარში ამოუდგა და გულშემატკივრობს ბობ დოულს. ამგვარად, 20 თებერვლის პრაიმარიზში ერთმანეთს უკვე 8 კანდიდატი ეჯიბრებოდა.



პატრიკ ბიუკენენი

თებერვლის დასაწყისიდან მოყოლებული მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ბობ დოულს ჰქონდა. მას მოსდევდა ბიუკენენი, არცთუ უმნიშვნელო სხვაობით, შემდგომ ალექსანდერი, ფორბსი და სხვა კანდიდატები მოდიოდნენ. მაგრამ სამშაბათს საკმაოდ მოულოდნელი რამ მოხდა: გაიმარჯვა 56 წლის კონსერვატორმა, ტელეკომენტატორმა პატრიკ ბიუკენენმა, რომელსაც 6 თებერვალს ლუიზიანას კოკუსის დროს დელეგატების არჩევისას ყველაზე დიდი წარმატება ხვდა წილად. როგორც ჩანს, ფორტუნამ არ დაივიწყა პირველი ფავორიტი.



ბობ დოული

პატრიკ ბიუკენენის მიერ ბობ დოულის დამარცხება, ალბათ, ბოლომდე შემთხვევითობად და „ბედის ღიმილად“ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ბიუკენენის უკან იდგა აშშ საშუალო ფენის დიდი ნაწილი, რომლებთან შეხვედრების დროსაც ბიუკენენი ჰპირდებოდა მათ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, იგი ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა უმუშევრობის პრობლემებსაც. ყველაფერ ამას უკვალოდ არ უნდა ჩაევლო. ალბათ, ამას მოწმობს ბიუკენენის გამარჯვებაც.



ლემორ ალექსანდერი

**20 თებერვალს ნიუ-ჰემპშირში გამართული პრაიმარიზის შედეგები ასეთია:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბიუკენენი — | 27 პროცენტი | (56,453); |
| 2. დოული — | 26 პროცენტი | (54,091); |
| 3. ალექსანდერი — | 23 პროცენტი | (46,922); |
| 4. ფორბსი — | 12 პროცენტი | (25,319); |
| 5. ლუგარი — | 5 პროცენტი | (10,753); |
| 6. კიისი — | 3 პროცენტი | (5,591); |
| 7. ტეილორი — | 1 პროცენტი | (2,954); |
| 8. სხვები — | 1 პროცენტი | (2,445). |



სტივ ფორბსი

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე და მესამე ადგილებზე გასული დოული და ალექსანდერი ქედს არ იდრეკენ გამარჯვებულის წინაშე და აცხადებენ, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა, ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია, პირველი ნაბიჯები დიდი წინასაარჩევნო კამპანიისა. ნამდვილი ბრძოლები ახლა იწყება. თუმცა, ანგარიშგასაწევია ფსიქოლოგიური ფაქტორიც: ბოლო ორმოცი წლის მანძილზე ყველა, კლინტონის გამოკლებით, ვინც კი ნიუ-ჰემპშირი „მოიგო“, საბოლოოდ , პრეზიდენტის სავარძელიც დაიკავა.

ერთმანეთთან პაექრობაში რესპუბლიკელებს დემოკრატების ერთპიროვნული ლიდერი — ბილ კლინტონი არც კი გახსენებიათ. არადა, როგორც ჯერჯერობით ჩანს, საბოლოო ბრძოლა სწორედ მასთანაა გადასატანი.

ნიუ-ჰემპშირის ბრძოლა დასრულდა. ვნახოთ, რა მოხდება სხვა შტატებში.

ნინო ვიბლიანი

## ახალი საზღვარგარეთი

### გროზნოში დაიწვა ნავთობის რეზერვუარი

გროზნოში, სროლების შედეგად, ცეცხლი გაუჩნდა გროზნოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას. დაიწვა 3 ათასი ტონის მოცულობის ნავთობით სავსე რეზერვუარი. წინასწარი მონაცემებით, ზარალმა 400 ათას ამერიკულ დოლარს გადააჭარბა.

### ტყვეები დაჯილდოვდებიან

დაღესტნის სოფელ პერვომაისკოეში ჩეჩენი მებრძოლების მიერ დაპატიმრებული 12 ნოვოსიბირსკელი ომონელი შინ დაბრუნდა. ტყვეობისას გამოჩენილი მოთმინებისა და გმირობისათვის ყველა მათგანი მთავრობის ჯილდოზეა წარდგენილი.

### სავალუტო ფონდის დირექტორი მოსკოვს ეწვია

გუშინ მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი მიშელ კამდესიუ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას მთავარი თემა იქნება რუსეთისთვის 9-დან 12 მილიარდ დოლარამდე კრედიტის 3 წლის ვადით გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

მიშელ კამდესიუ რუსეთში 5 დღე დარჩება.

### რუსეთის პრეზიდენტი და მასმედია

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი შეხვდა ქვეყნის ზოგიერთი გაზეთის მთავარ რედაქტორებს. საუბრის თემა იყო რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ ჩეჩნეთის ამბების გაშუქება. ელცინი შეეხო წინასაარჩევნო კამპანიას, ასევე რუსეთის სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის თავმჯდომარის თანამდებობიდან ოლეგ პოპცოვის გათავისუფლებას და საერთოდ, რუსეთის სატელევიზიო არხების მუშაობის საკითხებს.

### რუსეთ-ყაზახეთის ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ალმა-ათაში. პრიმაკოვს საკმაოდ დიდი გეგმები აქვს. მისი ინიციატივით, ყაზახეთის მთავრობასთან შეხვედრაზე განიხილავენ კასპიის სტატუსის, ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის საკითხებს. ასევე, ორივე ქვეყნისთვის განსაკუთრებით მტკივნეულ ზოგიერთ სხვა პრობლემასაც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალმა-ათაში ჩაიტანა ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტების მთელი პაკეტი. ეს დოკუმენტები რუსეთის მთავრობის მიერაა შემუშავებული და ფაქტობრივად წარმოადგენს საპროგრამო მასალას ყაზახეთსა და ბელარუსთან, რუსეთის ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების შესახებ. ვიზიტის დროს, დიდი დრო დაეთმობა ტაჯიკეთის კონფლიქტის განხილვასაც.



## ვიზიტი

# სანკტ-პეტერბურგში ქართულმა მხარემ აიძულა რუსი კოლეგები, დათმობაზე წასულიყვნენ

პირველი გვერდიდან

ციის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მიეღწია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თუნდაც ნაწილობრივი მხარდაჭერისთვის გუდაუთის სეპარატისტული რეჟიმის ბლოკირების პროცესში. ერთი შეხედვით, ამოცანა სავსებით არარეალური იყო, ვინაიდან, ჯერ ერთი, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ხმათა ორი მესამედით უარყო 19 იანვრის გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ასამბლეა ვერც ერთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა რუსეთის თანხმობის გარეშე, რადგან, დებულების თანახმად, თითოეულ ქვეყანას ამ ორგანიზაციაში ვეტოს უფლება აქვს. მაგრამ საქართველოს შანსი იმაში მდგომარეობდა, რომ პრობლემას მეორე მხარეც ჰქონდა: თუ რუსეთს შეეძლო ვეტოს დადება, ასევე შეეძლო საქართველოსაც იმ გადაწყვეტილების ბლოკირება, რომელიც რუსეთის ინტერესებს შეესაბამებოდა. რუსეთისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის, ეგორ სტროევის არჩევას ასამბლეის თავმჯდომარედ — სწორედ ამაში მდგომარეობდა საქართველოს შანსი, რომელიც ზურაბ ჟვანიამ მაქსიმალურად გამოიყენა სასურველი შედეგის მისაღწევად.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად სიმპტომატური და ნიშანდობლივი იყო შეხვედრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესთან — გენადი სელეზნიოვთან და სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელთან გიორგი ტიხონოვთან. სწორედ ეს უკანასკნელი გახლდათ არძინბას ცნობილი პრესკონფერენციის ორგანიზატორი. ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის დროსაც მას საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის სამკერდე ნიშანი ეკეთა. ამ შეხვედრას ქართული დელეგაციის წევრები დაძაბულად ელოდნენ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რუსები უფრო მეტად ღელავდნენ. სელეზნიოვს ოფიციალური შეხვედრების გამოცდილება აშკარად აკლდა — ეს მცირე ნიუანსებშიც იგრძნობოდა. ტიხონოვი კი, მთელი საუბრის განმავლობაში მხოლოდ უმწეოდ ილიმებოდა და ზურაბ ჟვანიას თითოეულ სიტყვას თავის ქნევით კვერს უკრავდა. სელეზნიოვმა განაცხადა, რომ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რომ აფხაზეთის პრობლემა ერთიანი საქართველოს წიაღში უნდა გადაწყდეს. მისი თქმით, ვლადისლავ არძინბას ყველა შეხვედრაზე სწორედ ეს გარემოება აგრძნობინეს. რა თქმა უნდა, სელეზნიოვი აშკარად ცრუობდა, მაგრამ მისი სიტყვებიდან რუსეთის პოზიციის სისუსტეც ჩანდა და სათათბიროს ახლადარჩეული თავმჯდომარის გარკვეული დაბნეულობაც. სავსებით ნათელი იყო, რომ იმ მომენტში რუსებს აღარ აინტერესებდათ არც არძინბა, არც აფხაზეთი — ოღონდ კი მიეღწიათ უმთავრესი შედეგისთვის , და ეგორ სტროევი აერჩიათ ასამბლეის თავმჯდომარედ. მაგრამ ზურაბ ჟვანიამ საკმაოდ მკვახე ტონით, პირდაპირ უთხრა თავის რუს კოლეგებს, რომ ამ საკითხში საქართველო წავიდოდა კომპრომისზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მხარს დაუჭერდა ქართული დელეგაციის მიერ შემოთავაზებულ დადგენილებას აფხაზეთის თაობაზე. სელეზნიოვი და ტიხონოვი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ, მაგრამ იძულებული გახდნენ, დათანხმებოდნენ ჟვანიას წინადადებას და საბჭოს სხდომაზე მხარი დაეჭირათ დოკუმენტის პირველი კითხვით მიღებისთვის, რის შემდეგაც სარედაქციო ჯგუფი შეიქმნა საბოლოო ვარიანტის მოსამზადებლად. სწორედ ამ სარედაქციო ჯგუფში გაიმართა ყველაზე ცხარე დებატები. რუსები შეეცადნენ, დოკუმენტი ისეთნაირად შეეცვალათ, რომ საქართველოსთვის სასარგებლო, ფაქტობრივად, არაფერი დარჩენილიყო. მოულოდნელად მათ მხარი დაუჭირეს ბელორუსებმა და ყირგიზებმა, რომლებმაც დემაგოგიურად განაცხადეს, რომ დოკუმენტის მიღება, რომელშიც მოწონებული იქნებოდა 19 იანვრის გადაწყვეტილება, გაართულებდა ჰუმანიტარულ მდგომარეობას კონფლიქტის ზონაში და არ შეუწყობდა ხელს პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას. კომისიაში რუსეთის წარმომადგენელი ბოლოს ისე გათავხედდა, რომ დოკუმენტის სამუშაო ვარიანტში გადაშალა სიტყვები „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“, რის შემდეგაც საქართველოს წარმომადგენელმა, ბატონმა კახა ჩიტაიამ დატოვა სხდომა და ამ ინციდენტის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს შეატყობინა. ზურაბ ჟვანიამ უმალვე განუცხადა ასამბლეის მდივანს, მიხეილ კროტოვს, რომ დატოვებდა ასამბლეას, თუ რუსეთი არ განმარტავდა თავის პოზიციას. გენადი სელეზნიოვმა და ეგორ სტროევმა ხანგრძლივი საუბრისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაარწმუნეს ზურაბ ჟვანია, რომ კომისიის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან საბოლოო გადაწყვეტილებას საბჭო იღებს. საბჭოზე კი მათ მხარი დაუჭირეს დოკუმენტის ქართულ ვარიანტს, რომელშიც იყო ყველა ის თეზისი, რისი ხაზგასმაც საქართველოს დელეგაციას აუცილებლად მიაჩნდა. დადგენილებაში, რომელიც ასამბლეის საბჭომ მიიღო, მითითებულია 19 იანვრის დოკუმენტი და არის სიტყვები ამ გადაწყვეტილებათა „უსწრაფესი რეალიზაციის აუცილებლობის“ თაობაზე; ნათქვამია, რომ პრობლემის სრულმასშტაბიანი დარეგულირება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პირობით; უეჭველად არის მიჩნეული ლტოლვილთა დაუყოვნებელი დაბრუნების აუცილებლობა.

ამრიგად, სანქტ-პეტერბურგში ქართულმა დელეგაციამ მართლაც მიაღწია შესაძლებლის მაქსიმუმს. ამ დადგენილებას, შესაძლოა, განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ მას უდავოდ აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და უეჭველად იქცევა კიდევ ერთ, საკმაოდ ქმედით პოლიტიკურ არგუმენტად აფხაზეთის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის ბრძოლის პროცესში.

ლევან ჩადუნელი

## პრესმერიდიანი

...მანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე მრავალტირაჟიან და პოპულარულ ჟურნალ ...ის 1996 წ. №4-ში გამოქვეყნდა გიზბერტ მროცეკის წერილი, რომელიც ჩრდილო კავკასიის კონფლი-...ხება.

# ...ეირო პოლიტიკის შემოქმედნი

...ის ელცინი სასტიკი ძალადობით ცდილობს ჩეჩნების დაჩოქებას. კავკასიას კი დაღუპვა ემუქრება.

...ლავი ნანგრევები, დამახინჯებუ-...ბი გაიელვებდნენ ხოლმე რუსე-...ლევიზიის ეკრანზე, რასაც ოპტი-...კომენტარები ახლდა თან. „დუ-...კარგი გაკვეთილი მიიღო. ახლა კი ...ბთ ტერორიზმის ბუდეებს იმ ად-..., სადაც არ არის მშვიდობიანი ...ება“, — განაცხადა პრეზიდენტ-...ს ელცინმა.

...დესაც რუსეთის ჯარის ...ბი ჩეჩნეთ-დაღესტ-...ვარზე მდებარე სო-...პერვომაისკოესკენ მიე-...დნენ, სადაც 200 ჩე-...მებრძოლი 100 მძევალ-...თად იყო გამაგრებუ-...ედ ამ დროს მოსკო-...სეთის პრემიერი ვიქ-...ერნომირდინი და აზე-...ის პრეზიდენტი ჰეი-...ლიევი ხელშეკრულე-...დნენ ნოვოროსიისკა-...ერბაიჯანული ნავთო-...ჩეჩნეთის ტერიტორიის ტრანსპორტირების ...

...რამ ჯერ კიდევ საკი-...გაივლის თუ არა ნავ-...ამ მიმართულებით. ...ლი წელსვე გახდება ...ი ომის მოწმე, რომე-...თელ კავკასიას მოი-... — განაცხადა ჩეჩნე-...ეზიდენტის ჯოხარ დუ-...პრესმდივანმა მოვლა-...უგოვმა. მართლაც, ჩე-

ჩნეთის კონფლიქტი გასცდა რუსეთის საზღვრებს. კარგად შეიარაღებულმა, პროჩეჩნურად განწყობილმა თურქებმა ტრაპიზონის პორტში ხელში ჩაიგდეს ბორანი „ავრასია“, რომელზეც, დაახლოებით, ორასი მგზავრი იყო. კავკასიური წარმოშობის „ალახის მებრძოლები“ მოითხოვდნენ რადუევის გათავისუფლებას, შემ-

დეგ კი თურქეთის ხელისუფლებას ჩაბარდნენ. ტერორისტული აქტები თავიდან იქნა აცილებული მოსკოვსა და სარატოვში. თვით გერმანიაშიც კი გამოჩნდნენ ფანატიკოსი მებრძოლები. „რუსული არმია ტერორისტული ორგანიზაციაა. მან მძევლად 1,5 მილიონი ჩეჩენი აიყვანა. ჩვენ მხოლოდ მათი გათავისუფლების შემდეგ შევწყვეტთ ტერორს“, — განაცხადა მოვლადი უდუგოვმა.



პერვომაისკოე ცხადყოფს რუსეთის ხელისუფლების უუნარობას, პოლიტიკური მეთოდებით დაამყაროს წესრიგი. ფედერალური ჯარის მიერ სოფლის აღების მერე ბორის ელცინი ტელევიზიით გამოსვლისას თავს იმართლებდა: „როდესაც მე გამოვაცხადე, რომ ოპერაცია ერთ დღეში დასრულდებოდა, ჩვენ ჯერ არ ვიცოდით რადუევის სანგრებისა და გამაგრებული ნაგებობების შესახებ“. თუმცა, ჯერ კიდევ იერიშამდე გაზეთ „Известия“-ს კორესპონდენტმა ვალერი იაკოვმა აღწერა ჩეჩენთა გამაგრებუ-




ლი პოზიციები. ხოლო უშიშროების სამსახური ამ დროს ან არ იყო ინფორმირებული, ან განსაკუთრებული მოსაზრებების გამო არ იძლეოდა ინფორმაციას.

სამნახევარი დღის განმავლობაში სამასი სახლი იმყოფებოდა არტილერიის, „გრადებისა“ და საბრძოლო ვერტმფრენების ცეცხლის ქვეშ. რუსეთის ელიტარული საჯარისო ქვედანაყოფები პარტიზანების გამანადგურებელ ცეცხლში იყვნენ მოქცეულნი. „ომონის“ დაბნეულმა მილიციონერებმა თავისიანების პოზიციები დაცხრილეს, ვერტმფრენებმა კი სარაკეტო ცეცხლი გაუხსნეს სოფელში შესული ანტიტერორისტული ჯგუფის „Витязь“-ის პოზიციებს. რუსი ჯარისკაცები ჟურნალისტებს ეკითხებოდნენ: ბოლოს და ბოლოს, ჩეჩნეთში ვართ თუ არა? ამ დროს კი სალმან რადუევი თანამგზავრული ტელეფონით ეთათბირებოდა ჯოხარ დუდაევს.

რადუევმა 25-30 მებრძოლთან ერთად, როგორც იქნა, თავი დააღწია ამ ჯოჯოხეთს და მძევლებიც თან წაიყვანა. 26 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, მრავალი მძევალი დაიჭრა. განმეორდა იგივე სურათი, რაც შარშან ვიხილეთ გროზნოზე შეტევის დროს: სამხედრო უუნარობა, შერწყმული სისასტიკესთან, მძევლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების უგულებელყოფასთან. რუსეთის ოფიციალური პრესა თავის მიერ გაბმულ ტყუილების ბადეში გაიხლართა. ცნობები მძევლების დახვრეტისა და წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შესახებ, როგორც თვითმხილველთა მიერ დადასტურდა, ყალბი აღმოჩნდა. მიზანდასახული დეზინფორმაცია იყო ისიც, რომ, თითქოსდა, იერიშის მიზეზად იქცა ჩეჩნების მიერ საშუამავლოდ მისული დაღესტნელი უხუცესების დახვრეტა. სინამდვილეში, ბრძანება შეტევის შესახებ ამ ინფორმაციის გავრცელებამდე ორი საათით ადრე გაიცა.

კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერი პეტრე რომანოვი გამოთქვამს პროგნოზს: „თუ შემდგომში პოლიტიკური სიბრძნის ნაცვლად ძალა იქნება გამოყენებული, რუსეთი კავკასიას დაკარგავს“.

„მშვიდობიანი გადაწყვეტილება შესაძლებელი იყო, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებაში არავინ არის ისეთი, ვისაც ეცოდინება, როგორ განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა კავკასიაში“, — ამბობს დაღესტნის ეროვნებათა მინისტრი მაგომედ-სალიხომ გუსაევი.

ინგუშეთის პრეზიდენტი რუსლან აუშევიც შეწუხებულია მის რესპუბლიკაში ომის მოსალოდნელი გავრცელების გამო.

არაკავკასიური რეგიონების: ბაშკირეთის, თათრეთის და კომის ხელმძღვანელებმა გააკრიტიკეს დაპირისპირებული მხარეების მოქმედება პერვომაისკოეში. ყოველივე ეს შეშფოთების საფუძველს იძლევა რუსეთის ფედერაციის შესაძლო დაშლის გამო.

მიმდინარე მოვლენები მიხაილ გორბაჩოვის მმართველობის ბოლო წლებს გვახსენებს, რომელიც ეროვნულ მოძრაობას თბილისში, ბაქოსა და ვილნიუსში ტანკებითა და ჯარისკაცებით ებრძოდა, სანაცვლოდ კი — თავისი ხელისუფლების დამხობა და სსრკ-ს დაშლა მიიღო. ელცინსაც ძვირად დაუჯდება პერვომაისკოე, რადგან, თუმცა, ხელშეკრულება ნავთობის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გატარების შესახებ ხელმოწერილია, მაგრამ ყაზახეთსა და აზერბაიჯანში სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს ის პოზიცია, რომ უკეთესი იქნება, თუ შავი ოქრო სტაბილურ საქართველოზე გაივლის ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპიროსკენ, ვიდრე ჩრდილოკავკასიურ ჯოჯოხეთში. ამით რუსეთი დაკარგავს სატრანზიტო შემოსავლებს, დაახლოებით, 0,5 მილიარდი მარკის ოდენობით.

მოამზადა

**გიორგი შატბერაშვილმა**

## მსოფლიო

### ...ლუმბიაში სკანდალია



კოლუმბიაში კონგრესის კომიტეტმა განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა ერნესტო სამბერმა 1994 წლის საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს მიისაკუთრა სახელმწიფო თანხები. ეს საქმე გასული წლის დეკემბერში ერთხელ უკვე დაიხურა, მაგრამ ახლა კომიტეტი იძულებული შეიქნა, ხელახლა გაეხსნა იგი და ეწარმოებინა გამოძიება. გამოძიების განახლება გენერალურმა პროკურორმა მოითხოვა, რომელმაც გასულ კვირას წარმოადგინა სკანდალის შემდგომ მომხდარი კრიმინალური საქმეების ნუსხა.

პრეზიდენტი კი დაჟინებით უარყოფს ყოველგვარ ბრალდებას და აგრძელებს თავისი უდანაშაულობის მტკიცებას.

### ...აჩუქრად» ...ჩევნებისთვის

...ვანის საინფორმაციო სააგენ-...ობით, ჩინეთი ტაივანის მახლო-...ალი საბრძოლო ბალისტიკური ...ბის გაშვებისთვის ემზადება. ეს ...ითვალისწინებულია ფართომას-...ი საბრძოლო წვრთნის პროგ-... რომელიც ტაივანში 23 მარტის ...დენტო არჩევნებთან დაკავში-...ი დაგეგმილი.

### ...ვრთხე ...ვიდან ...ილეს

...რ-ტასის ცნობით, ტოკიოში ...ოდა თავდასხმა იაპონიის სა-...ებრივი უსაფრთხოების კომისი-...ჯდომარეზე, ასევე იგეგმებოდა ...ის სამინისტროს ერთ-ერთი ... აფეთქება. პოლიციის ოპერა-... მოქმედების წყალობით, შესაძ-... გახდა ასაფეთქებელი მოწყო-...ბის გაუვნებელყოფა.

### ... მილიონი ...ლარი ...რდება

...ბოსნიელ სერბთა არმიის წარმო-...ლებმა განაახლეს მოლაპარაკე-...ის ჯარების ხელმძღვანელო-...თ შორის ყველა კონტაქტი ...ს შემდეგ, რაც მუსულმა-...ი სერბი ოფიცერი — ...ა კროსმონოვიჩი დააკავეს. ...კებები განახლდა, მაგრამ ...ა ბოსნიაში კვლავ დაძაბუ-...ოსნიისა და ხორვატიის მხა-...რის რომში მიღწეული შე-...ა მოსტარში თავისუფალი გა-...ლების შესახებ, არ სრულდება. მოსტარის აღმოსავლეთიდან ქალაქის დასავლეთისკენ გადაადგილება ...სად პრობლემატურია.

...ი გამართული მოლაპარაკება დეიტონის შეთანხმების გაგრძელებად ...ა, მაგრამ შეთანხმება, ჯერჯერობით, მხოლოდ ... რჩება. ამერიკის კონგრესმა ქვეყნის პრეზიდენტს ...ნტონს გაუგზავნა ოფიციალური მოთხოვნა 820 ... დოლარის გამოყოფის შესახებ. ეს თანხა, კონგ-...ის აზრით, დეიტონის მოლაპარაკების რეალიზაცი-... საჭირო.

## ახალი საზღვარგარეთი

### ვინ შევიდოდა «დუდაევის იმპერიაში»?

გუშინ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებთან შეხვედრისას, პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა, რომ ჯოხარ დუდაევს განზრახული ჰქონდა შეექმნა ერთიანი მუსულმანური სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდოდნენ: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკები. რუსეთის დემოკრატ პრეზიდენტს, ალბათ, დაავიწყდა, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა — სომხეთიც და ჩეჩნეთზე ბევრად დიდი მუსულმანური ქვეყნების შემადგენლობაში არ შესულან. დუდაევს რა მიზნები აქვს, ალაჰმა უწყის, მაგრამ აშკარაა, რომ

## ცხოვრება

### ძვირფასო რედაქციავ!

ცხონებულ პაპაჩემს (რომელმაც მამაჩემის დაბადება 87 წლის ასაკში იზეიმა), გამოჩენილ ლოტბარს, საბლერ ჩანტლაძეს ერთი უცნაური ჰობი ჰქონდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე შეუდგა დომინოს ერთი ქვის, კერძოდ, ფანჯ-იაქეს შეგროვებას... დღეს პაპა ხოჯევანქის სასაფლაოზე განისვენებს, ჩვენს ოჯახში კი სათუთად ინახება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სხვადასხვაგვარი დომინოს ფანჯ-იაქეები, სულ 21 907 ცალი, რომელთაგან ბევრია უნიკალური და ისტორიული მნიშვნელობისა. კერძოდ: შლიმანის მიერ აღმოჩენილ ტროაში ნაპოვნი მამონტის ეშვის სამი ფანჯ-იაქე, რითაც დასტურდება, რომ აგამემნონიც ფანჯ-იაქეებს აგროვებდა; განრისხებულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ, მარშალ ნეის სახეში რომ შეაყარა ოქროს დომინოს ქვები (ბრილიანტის წერტილებით) შემდეგი ისტორიული წამონაძახით: „მარშალო ნეი! შენ ნაპოლეონს ვერაფერს მოატყუებ, რატომ მიადე ფანჯ-იაქე ჩარიდუს?“ გვაქვს თეირანის კონფერენციაზე, მეორე ფრონტის გახსნისთვის შეკ-



რებილი სტალინის, რუზველტის, ბერიას და ეიზენჰაუერის ნათამაშევი დომინოს ფანჯ-იაქე. და უფრო ძვირფასი რელიქვიაც: 1987 წელს ბერლინში გენშერს საკუთარ ოჯახში ედუარდ შევარდნაძემ დომინოს სამი პარტია მოუგო. აქედან ორი მშრალად, ერთი ისე. აი, ამ დომინოს ფანჯ-იაქეცა გვაქვს (რომლის გადმოცემისთვის ქალბატონ ნატო ონიანს დიდად ვუმადლით).

დღეს გვიჭირს, თუმცა მხნედ და იმედიანად ვართ, მაინც ვიმეტებთ პაპის, საბლერ ჩანტლაძის ნაგროვებ განძს.

ისტორიული მნიშვნელობის ფანჯ-იაქეებს ცალ-ცალკე ვყიდით, დანარჩენს — ცალკე. (დარეკეთ: 36-81-41. გიგა).

საგენტო „თუნო“

### დუდაევის დაცვის ყოფილი უფროსი კოლონიიდან გაიქცა

ირკუტსკის განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიიდან გაიქცა ჯოხარ დუდაევის დაცვის ყოფილი უფროსი მავლად ჯამბრაიმოვი. იგი მკვლელობებისა და ბანდიტიზმის ბრალდებით 1995 წლის სექტემბერში დააკავეს და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. არსებობს ვერსია, რომ შესაძლებელია ჯამბრაიმოვი კვლავ დაბრუნდეს გროზნოში, სადაც დუდაევის მომხრეებს შეუერთდება.

მავლად ჯამბრაიმოვს მეხუთე დღეა ეძებენ, მაგრამ უშედეგოდ. ამ ფაქტთან დაკავშირებით უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაკავებულია 4 ადამიანი.

### რუსული ალმასი მსოფლიო ბაზარზე

რუსეთმა განაახლა მოლაპარაკებები სხვადასხვა ფირმებთან დაუმუშავებელი საიუველირო ალმასის მსოფლიო ბაზარზე გატანის შესახებ. მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობს რუსეთის ფინანსთა მინისტრი. რაც შეეხება ძვირფასი ლითონების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ევგენი ბიჩკოვს, იგი, რამდენიმე ხნის წინ, სამსახურეობრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების გამო, პოლიციამ დააკავა. გუშინ კი, ელცინის ბრძანებით, ბიჩკოვი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანებაში გათავისუფლების მიზეზად ორი ფაქტია მითითებული — პენსიაზე გასვლა და პრეზიდენტის მითითების შეუსრულებლობა.

## ლამაზი ქალი

### კლაუდია შიფერი

— როდის თხოვდებით?

— კონკრეტული რიცხვი არ განგვისაზღვრავს. ჩვენ ეტკბებით ერთად ყოფნით და ძალიან ბედნიერები ვართ. ერთმანეთს ჩემთან, მონტეკარლოში ან პარიზში ვხვდებით, ან დავითის ნიუ იორკის და ლოს ანჯელესის ბინებში.

— რატომ მოგივიდათ წიგნის დაწერის იდეა?

— ძალიან ბევრ წერილს ვღებულობ თაყვანისმცემლებისგან. ამიტომ მსურდა მათი კითხვებისთვის ამ წიგნით გამეცა პასუხი.

— როდის ჰგავხართ ყველაზე მეტად საკუთარ თავს?

— მე ყოველთვის მე ვარ. რა თქმა უნდა, სურათის გადაღებისას ეთამაშობ როლებს, ისეთი ვხდები, როგორსაც ფოტოგრაფს სურს მხედავდეს, ხან ბავშვურ ქალს ვგავარ, ხან ვამპირს, ხან მხიარულ გოგონას. მაგრამ ჩემი პროფესია ბევრ სიამოვნებას მანიჭებს, ძალიან ბევრს, ამიტომაც ვმუშაობ ყოველდღე. რა თქმა უნდა, მაშინაც დიდ კმაყოფილებას განვიცდი, როდესაც ჩემს მეგობართან ერთად უბრალოდ ჯინსში და პულოვერში გამოწყობილი ვზივარ სოფაზე, როდესაც სახლში ვართ და რამეს ვუყვებით ერთმანეთს, ან რაიმე ფილმს ვუყურებთ. მაშინაც ბედნიერი ვარ, როდესაც რაინბერგში ჩავდივარ მშობლების და და-ძმის სანახავად და ჩემი ბავშვობის ქალაქში დავხეტიალობ.



— თქვენი წიგნის პრეზენტაციას დედათქვენიც ესწრება. რა ისწავლეთ მისგან?

— მამა ვექილი მყავს. ამიტომ უმეტესად სამსახურითაა დაკავებული. დედა ყველა საკითხში მეხმარება. მან, უპირველეს ყოვლისა, დისციპლინას მიმაჩვია.

— გაგვიმხილეთ, რამდენს იღებთ წელიწადში?

— ეს ჩემი საიდუმლოა. ის კი შემიძლია გაგიმხილოთ, რომ ფულს ყოველგვარი რისკის გარეშე ვაბანდებ აქციებსა და ბანკებში.

— არის ისეთი რამ, რისი კეთებაც არ შეგიძლიათ?

— ყველაფერი, რაც სახლის საქმეს ეხება. არც საჭმლის გაკეთება ვიცი, არც კერვა, არც დალაგება. მუდამ გამზადებულ სალათებს ვყიდულობ, უმეტესად, ცოცხალ ხილს, ბანანს, მანდარინს, ფორთოხალს, ანანასს ვჭამ. მაგრამ თუკი შემთხვევით ჩემთვის ბოსტნეულის სალათის გაკეთებას გადავწყვეტ, დაჭრისას ლამის არის ხელებიც წავითალო ხოლმე. მხოლოდ მზა საჭმელს ვყიდულობ, ნამში რომ თბება მიკროტალღოვან ღუმელში.

— თქვენი რა თვისება არ მოგწონთ?

— ძალიან სულსწრაფი ვარ.

— ბოლოს როდის იყავით ცუდ ხასიათზე?

— ამერიკიდან პარიზისკენ მომქანცველი ფრენის შემდეგ მარტომ რომ შევაღე ჩემი ბინის კარი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დედაჩემის ერთი სატელეფონო ზარიც კმარა ხოლმე, რომ მსოფლიო სევდაც კი გამეფანტოს.

— რაზე ფიქრობთ ხოლმე, კამერის წინ როცა იღიმებით?

— იმ იმიჯზე ვფიქრობ, რასაც ფოტოგრაფი ითხოვს ჩემგან. იმაზეც ვფიქრობ, ვის უნდა შევხვდე საღამოს, ან ვისთან უნდა გადავრეკო ტელეფონით.

— თქვენ მუდამ რეჟიმში ცხოვრობთ. ისურვებდით წყნარ ეპოქაში ცხოვრებას?

— ჰიპების დრო მხიბლავს. ისინი ხომ ფულზე და კარიერაზე არ ფიქრობდნენ. მართლაც, ველური, თავისუფალი დრო იყო.

— რას გააკეთებთ 50 წლის ასაკში?

— მაგის დარდი არა მაქვს! ყველა ვარიანტში ორი შვილი მეყოლება და იმედია, ქმართან ერთად ვიცხოვრებ.

— ეჭვიანი ხართ? თქვენი კოლეგა ჰელენა კრისტენსენი თავის მეგობარს, მუსიკოს მაიკლ პაჩენსს იმის გამო დაშორდა, რომ მან ორი დღე საკუთარ ცოლთან, ბობ გელდოფთან ერთად გაატარა სასტუმროში.

— რა? აუცილებლად დავურეკავ ჰელენას და ვკითხავ, სინამდვილეში რა როგორ მოხდა. ურთიერთობაში ადამიანი აბსოლუტურად პატიოსანი უნდა იყოს. ღალატს ვერავის ვაპატიებ.

— მიგაჩნიათ, რომ ლამაზი ხართ?

— მე მიხარია, როცა სხვები მთელიან ლამაზად. ჩემი აზრით, არსებობენ ადამიანები, რომელთაც დადებითი გამოსხივება აქვთ. სილამაზეც ესაა.

— თქვენ ხომ ფილმშიც გინდათ გადაღება. ვისთან ერთად ითამაშებდით სიამოვნებით?

— ძალიან მომწონს ტომ ჰენკსი, რობინ უილიამსი, მეგ რაიენი და გოლდი ჰაუნი. ვაღმერთებ კატრინ ჰეპბერნს და ოდრი ჰეპბერნს.

— რას კითხულობთ?

— ძალიან მომწონს ჯონ ირვინგის რომანები, კლასიკოსებიდან ბალზაკი და მაქს ფრიში.

— რისი გეშინიათ?

— ძუძუს კიბოსი! ამერიკაში მთელი კამპანია შეიქმნა დიზაინერ რალფ ლორენის თაოსნობით, რომელიც აფრთხილებს ქალებს, ფხიზლად იყვნენ და სისტემატური ყურადღება მიაქციონ თავიანთ ჯანმრთელობას. იქ უკვე ყველა მესამე ქალი იტანჯება ძუძუს კიბოთი.

მოამზადა

**ნათია ფანჯიკიძემ**

# კავკასიონი

ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1996

№29 (323)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა-1

### სენიორ დი მონტეზემოლო:

## «როგორც ჩანს, ბრიატორეს «ფერარის» გამოკვეთილი კომპლექსი აქვს»

სიორნში ახალ „ფერარიზე " (F-3-10) პირველი ოფიციალური ტესტი ჩაატარა მიხაელ შუმახერმა. მან 30 წრე გაიარა და ერთ-ერთ წრეზე მსოფლიოში საუკეთესო დრო აჩვენა (1.04.44).

ამით გათამამებულმა „ფერარის" პრეზიდენტმა სინიორ მონტეზემოლომ განაცხადა: „96 წელს, ვგინდა, სამჯერ გავაუმჯობესოთ შედეგი და სამჯერ გავიმარჯვოთ „გრან-პრის" გათამაშებაში".



შარშან შუმახერი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა „ბენეტონის" გუნდში, ამიტომ წარმატებას მონდომებულ პრეზიდენტს თავის მთავარ კონკურენტად „ბენეტონი" მიაჩნია, რომელიც იტალიური გუნდია. თუმცაღა, სენიორ დი მონტეზემოლო არც სხვა გუნდებს უგულებელყოფს." ჩვენ ულრმესი პატივისცემით ვეპყრობით მეტოქეებს — უილიამსს, „მაკლარენს" და, განსაკუთრებით, „ბენეტონს" — ჩაეცინა მას და უმალ განაგრძო — მე გულწრფელად ვეთაყვანები სინიორ ბრიატორეს („ბენეტონის" პრეზიდენტი) და მის მიერ გაკეთებულ საქმეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მას „ფერარის" გამოკვეთილი კომპლექსი აქვს".

საერთოდ, ეს ორი იტალიელი პრეზიდენტი ერთმანეთის სიყვარულით არ იწვის და ურთიერთგაქირქილებასაც არ ერიდება. თუმცა, მათი მოქმედება ერთმანეთთან დამოკიდებულების მიღებულ ფორმას არ სცილდება და ურთიერთობების გარკვევა, ჟერჟერობით, „ფორმულა-1-ს" ტრასებზე ხდება.

სენიორ მონტეზემოლოს მონოლოგი კი ასე მთავრდება: „მიკვირს, რომ „ბენეტონი" თავის გუნდს იტალიურს უწოდებს, რადგან მას ფრანგული მოტორი აქვს, ჰყავს სამხრეთაფრიკელი დიზაინერი, ინგლისელი ინჟინრები და ორი უცხოელი პილოტი — ავსტრიელი და ფრანგი... ჩვენ კი ვამაყობთ, რომ იტალიელები ვართ და „ფერარის" ძველ ტრადიციებს ვაგრძელებთ".

ყველაფერი სწორია, მაგრამ სენიორ პრეზიდენტს ერთი დეტალი „გამორჩა". კერძოდ, მისი მთავარი ინჟინერი ინგლისელია, სპორტული დირექტორი — ფრანგი, წამყვანი მოტორისტი — იაპონელი, ერთი პილოტი — გერმანელი, მეორე კი — ირლანდიელი.

შუმახერი უფრო მოკრძალებულია. მისი აზრით, სერიოზულ შედეგებზე ფიქრი მხოლოდ მომავალი წლიდან შეიძლება. თუმცა, მანქანა საუკეთესოა.

ამ დროს ესტორილში (პორტუგალია) გამალებული მზადება მიმდინარეობს. ჩემპიონატი ერთ თვეში დაიწყება და ყველას უნდა ფორმაში იყოს. შუმახერის მოწინააღმდეგეების შედეგები ასეთია: დეიმონ ჰილი („უილიამს-რენო")- 1.21.64 (81 წრე); გერხარდ ბერგერი („ბენეტონ-რენო") — 1.22.24 (28 წრე); ჟან ალეზი („ბენეტონ-რენო") — 1.22.48. (20 წრე); მიკა ჰაკინენი („მაკლარენ-მერსედესი") — 1.22.55 (28 წრე); რუბენს ბარიკელო („ჟორდან-პეჟო") — 1.22.59 (72 წრე); მარტინ ბრანდლი („ჟორდან-პეჟო") — 1.23.08. (42 წრე), როგორც ვხედავთ, კარგი შედეგის მიუხედავად, შუმახერისგან ყველა შორს დგას.

\+ \+ \+

საერთაშორისო ავტოფედერაციის (FIA) ცნობით, შარშან „ფორმულა-1" ეტაპები ყველაზე მეტმა ტელემაყურებელმა იხილა (201 ქვეყნის 45 მილიარდი მაყურებელი). შედარებისთვის მოყვანილია შემდეგი ფაქტები: აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში 181 ქვეყნის 32 მილიარდმა ტელემაყურებელმა ნახა.

ზაზა ფარუაშვილი

## საფეხბურთო ევროპა

### პორტუგალია

23-ე ტურის შეხვედრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ამ ტურში ერთმანეთს ლიდერები ხვდებოდნენ. „ბოავიშტამ" ქვეყნის ჩემპიონს „პორტოს" უმასპინძლა და დიდი ხნის განმავლობაში იგებდა კიდეც შეხვედრას, მაგრამ ლიდერმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1. ლისაბონური დერბი შედგა „ბენფიკას" სტადიონზე, სადაც უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს ტრადიციულმა მეტოქეებმა — „ბენფიკამ" და „სპორტინგმა". თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე გუნდს ჰქონდა კარის აღების რეალური შანსი, მაგრამ მეტოქეებმა ერთმანეთს ხასიათი არ წაუხდინეს — 0:0. სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:

სალგეირაში — ვიტორია გიმარაეში 1:2
მარიტიმო — ამადორა 1:1
ლერია — ბელენენსეში 1:0
ბრაგა — ლეგა — 3:0
ფელგეირაში — ტირნენსე 0:1
ფარენსე — გილ ვისენტე 5:0
კამპომაიორი — შავიში 2:1

23-ე ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება:

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| პორტო | 23 | 61 |
| ბოავიშტა | 23 | 48 |
| სპორტინგი | 23 | 47 |
| ბენფიკა | 23 | 47 |
| ვიტ.-გიმარაეში | 23 | 37 |
| მარიტიმო | 23 | 37 |

## ალპინიზმი

### მწვერვალი «საქართველო»

არგენტინაში, წარმატებით დასრულდა საერთაშორისო ალპინისტური ექსპედიცია, რომელშიც ორი ქართველი, გია თორთლაძე და დათო ტურაშვილი იღებდნენ მონაწილეობას. სამხრეთ ამერიკის უმაღლეს მწვერვალ „აკონკაგუაზე" (სიმაღლე — 6960 მ), ექსპედიციის წევრთაგან პირველმა გია თორთლაძემ შედგა ფეხი.

ქართველმა მთამსვლელებმა, აგრეთვე, შეძლეს ახალი, უსახელო, მანამდე დაულაშქრავ მწვერვალზე, რომელსაც მწვერვალი „საქართველო" ეწოდა.

ქართველთა მონაწილეობა უცხოურ ექსპედიციაში სპონსორის — ბატონ გუჯა ბუბუტეიშვილის დამსახურებაა.

ინფორმაცია მოგვაწოდა
დათო ტურაშვილმა.

## ჩოგბურთი

### ბრძოლა გრძელდება

სენტ-ჯუდის დახურულ დარბაზში გრძელდება პროფესიონალ ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით ასპარეზობს მსოფლიოს №1 ჩოგანი (მან ეს წოდება კვლავ დაიბრუნა), ამერიკელი პიტ სამპრასი. მეორე წრეში სამპრასმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რუსი ევგენი კაფელნიკოვი — 6:4, 7:5, რომელმაც რეიტინგ-ლისტში მე-6 საფეხურიდან მე-7-ზე გადაინაცვლა. მეორე ეტაპი წარმატებით დაძლია გერმანელმა ბორის ბეკერმა, რომელმაც გათამაშებას ჩეხი მარტინ დემი გამოთიშა — 6:4, 6:4.

ტოდ მარტინი (აშშ) — მაიკლ ტილსტრიომი (შვედეთი) 6:1, 7:6.

პოლ ჰარჰუსი (ჰოლანდია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:2, 5:7, 6:4.

## ამერიკის ამბები

### NBA

თამაშის ხარისხს თანდათან აუმჯობესებს NBA-ს სუპერვარსკვლავი, მეჯიკ ჯონსონი. მორიგ ტურში მისმა „ლეიკერსმა" დამაჯერებელი ანგარიშით — 121:104 დაამარცხა ლოს ანჯელეს „კლიპერსი". ირვინ მეჯიკ ჯონსონი ამ მატჩის საუკეთესო კალათბურთელად იქნა მიჩნეული.





ჩიკაგო „ბულსი", დაუოკებელი პიპენითა და გენიალური მაიკლ ჯორდანით, თავის დაუმარცხებელ სერიას აგრძელებს. ამჯერად „ხარებმა" კლივლენდში ადგილობრივი „კავალერსი" დაამარცხეს ანგარიშით — 102:76. გაეცანით დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს:

მილუოკი — ნიუ-იორკი 92:87
ფილადელფია — ორლანდო 104:123
ბოსტონი — იუტა 98:112
სან ანტონიო — პორტლენდი 108:103

### NHL

გრძელდება ჰოკეის ნაციონალური ლიგის ჩემპიონატის მატჩები. გუშინ გაიმართა ორი შეხვედრა. სან ხოსემ კალგარის უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში დათმო თამაში ანგარიშით — 3:5. NHL-ის ჩემპიონატის აუტსაიდერმა ოტავამ სამშაბათს სენტ ლუისი მიიღო და გამანადგურებელი ანგარიშით — 7:1 დაამარცხა იგი. აღსანიშნავია, რომ ოტაველებმა უკანასკნელი ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგეს, ხოლო ერთი ფრედ დაასრულეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, გუნდს წლევანდელ სეზონში ბოლო ადგილი გარანტირებული აქვს.

## სამთო-სათხილამურო სპორტი



### ჟირარდელი მეორეა

გრძელდება სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო პირველობა. ზოგიერთ დისციპლინაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ვაჟთა თანრიგში კომბინირებულ სლალომში უმთავრეს ფავორიტად სპეციალისტები ლუქსემბურგელ მარკო ჟირარდელის მიიჩნევდნენ. მაგრამ ლუქსემბურგელმა სპორტსმენმა მხოლოდ მეორე შედეგი აჩვენა — 1.38.99. მასზე უკეთ მომზადებული კი ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე, რეიტერი აღმოჩნდა, რომელმაც დისტანცია — 1.38.99. შედეგით დაამთავრა და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. მესამე ადგილი წილად ხვდა ფრანგ დიმიერს. მისი შედეგია — 1.39.42.

ახლახანს გახდა ცნობილი, რომ ოლიმპიურ ცეცხლს ლოს-ანჯელესიდან ატლანტაში აპრილის ბოლოს წაიღებენ, ამ საპატიო მისიას უძლიერესი ამერიკელი სპორტსმენები შეასრულებენ: მსოფლიოს ჩემპიონი კრივში — ევანდერ ჰოლიფილდი, კალათბურთელი — შაქილ ონილი, ჩოგბურთელი — პიტ სამპრასი და სხვა ცნობილი სპორტსმენები.



## ფეხბურთი

სამხრეთ ამერიკაში მიმდინარეობს ატლანტის, ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში. ოლიმპიადაზე თამაშის უფლებას ერთმანეთს ეცილებიან სამხრეთ ამერიკის უძლიერესი ნაკრები გუნდები. ამ დავაში, ტრადიციულად დომინირებენ: არგენტინის, ურუგვაის და ბრაზილიის ოლიმპიელები. მორიგი ბარიერი სამივე ფავორიტმა წარმატებით



გადალახა. არგენტინის ოლიმპიურმა ნაკრებმა არ დაინდო ეკვადორელი ფეხბურთელები და დიდი ანგარიშით „გაანადგურა" ისინი — 6:0. ამ შეხვედრაში არგენტინელებმა ყველა გამოვენების გულშემატკივარი დააკმაყოფილეს ბრაზილიელთა ოთხ ბურთსპერულებმა მხოლოდ პრესტიჟის გოლით უპასუხეს და საბოლოოდ დამარცხდნენ — 1:4. ურუგვაიმ თუმცა მოკრძალებული შედეგით, მაგრამ მაინც დაამარცხა ვენესუელის ნაკრებს — 1:0.

## განცხადებები

**ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.**

### ვყიდი

კუთხოვნებში ჩამოსხმულ რკინის ბადეს (ღობეს ეზოსთვის, ნაკვეთისთვის), ბადე არის უჟანგავი. მთლიანი სიგრძე 3 მეტრი, სიმაღლე 1 მ და 50 სმ. რაოდენობა 70 ცალი, თავისი მილებით. მილების ზომა 2 მ და 80 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.

მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის, ეზოსთვის, ზომა 4X2. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.

პოლონური სასადილო „გდანსკი". ახალი, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-45-97.

სამოთახიანი ბინა საბურთალოზე, ტიპიური პროექტით, ძველი რემონტით, ორმაგი კარ-ფანჯრით, რკინის კარით, სამზარეულო, აბაზანა კაფელშია. ფასი 33 ათასი ლარი. ტელ.: 39-84-23.

### სხვადასხვა

ვყიდი 1990 წ. „06" მარკის ავტომანქანა ჟიგულს. 03-ის ძრავით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-17-83. იკითხეთ ზურაბი.

ვამზადებთ თერმო გადასაყვან სურათებს, ქაღალდიდან ყველა ტიპის და ფერის ქსოვილზე. აგრეთვე, ყველა სახის ეტიკეტებს და კალენდრებს. მისამართი: დ.უზნაძის 28. ტელ.: 95-69-17.

ვასწავლი ებრაულ ენას — ივრითი. ტელ.: 93-35-06.

ვამზადებ ბავშვებს ინგლისურში სახლში მისვლით. ვაჟა-ფშაველას I ჩიხი, №5. ტელ.: 39-17-83.

### ვაქირავებ

ოროთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 37-28-78.

არასტანდარტული, გარემონტებული 4-ოთახიანად გადაკეთებული 3-ოთახიანი ბინა ორმხრივი აივნით. ოთახთა ფართი: 28 კვ.მ, 16 კვ.მ, 16 კვ.მ, 11 კვ.მ, ლოჯია 18 კვ.მ. რკინის კარებით. მუდმივი ცხელი წყლით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საბურთალოს ქუჩაზე. ტელ.: 38-11-02.

დაბა ხარაგაულში (ჭავჭავაძის ქ.№ 9) ორსართულიანი კაპიტალური სახლი, გარაჟით, დამხმარე სათავსოებით, საბაღე მიწის ნაკვეთით, ტელეფონით. მსურველებმა დარეკონ ხარაგაულში: 2-15-42. თბილისში: 37-55-39 (ნათელა).





### ნოდარ ჭანკოტაძე

27 თებერვალი შენი დაბადების დღეა, ნოდარ... როგორ უნდა შევხვდეთ ამ დღეს უშენოდ, ჩვენო ხუთი თვის უნახავო...

გვენატრები ყველას.

შენი ანუკა და ქეთი ყოველ საღამოს ეფერებიან შენს სურათს... ლოცულობენ, ნათელში გეიმყოფე მამიკოს სული.

ვიცით, რომ ნათელში იქნება შენი მართალი სული, ჩვენო ალალმართალო, კეთილო— დღევანდელმა უკუღმართმა ცხოვრებამ გატკინა გული და წახვედი ჩვენგან, ვეღარ გაუძელი მგლური ცხოვრების კანონებს.

მშვიდად იძინე, ნოდარ, ჩვენ ყველას გახსოვხარ და გვენატრები.

მეუღლე, ძმა, მშობლები

### მომხმარებელთა, კომერსანტთა და მრეწველთა საყურადღებოდ გთავაზობთ

1) სოიოს ცილებზე დამზადებული ირანული წარმოების „შ... და ხორცი", 1 პაკეტი — 250გრ. ყუთში — 40ც. ყუთის ღირებულება — 14 ლ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

2) სარეცხის საპონი ირანული წარმოების 72 პროცენტიანი — 250გრ. ყუთში — 72ც. ყუთის ღირებულება — 36ლ 64თ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

3) ხალვა მიწის თხილის, ირანული წარმოების, ბრიკეტებით — 100გრ. ყუთში 80 ც. ყუთის ღირებულება — 32ლ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

4) ტუალეტის ქაღალდი რუსეთის სიკტივკარის ქარხანა. ყუთ... — 100ც. ყუთის ღირებულება — 50ლ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-68-04. 66-52-7[illegible]

## კროსვორდი

თარაზულად: 1. აშშ პრეზიდენტი 7. ბოსტნეული 8. ფრანგი მწერალი 10. სპორტის სახეობა 11. ხილი 15. საფრანგეთის ქალაქი 16. იტალიის საკალათბურთო გუნდი 19. ახლო წარსულში კამერუნის ნაკრების მეკარე 20. მოწყობილობა მექანიკურ საათში 21. სიგრძის საზომი ერთეული 23. ნახევარკუნძული ჩრ.ციმბირში 24. სამშენებლო მასალა 25. მეცნიერი (სფერო) 26. გარეული ცხოველი 27. სამხრეთ კორეული ავტომობილის მარკა 29. რსფსრ-ს ქალაქი 30. იტალიური ლიქიორი 32. სპორტული ნავი 34. ორგანიზმის თვისება დაიცვას თავი დაავადებისგან 37. ნაწარმოების ჟანრი 39. გარეული ცხოველი 42. სიყალბე, ბლეფი 44. ფულის ერთეული ჩინეთში 45. ბურანი 46. თურქეთის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 2.ავტორიტეტი 3. მხატვრული ფილმის ჟანრი 4. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი 5. უმწეო, სუსტი 6. სცენის განათება 7. აკვალანგის გამომგონებელი 9. სირიის ქალაქი 10. ფრანგული სუნამო 12. ამერიკელების ზედმეტი სახელი 13. ქალაქი ეგვიპტეში 14. მეცნიერება პოლიტიკის შესახებ 16. ძვირფასბეწვიანი ცხოველი 17. რუსი მწერალი 18. ადამიანი, რომელიც ხლართავს დაძაბულობის ქსელს 21. საქალაქო ტრანსპორტი 22. ტერმინი ძიუდოში 28. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ნაჭერი 31. ფრანგი პილოტი (ფორმულა 1) 33. საკვები პროდუქტი 35. ქართველი მოჭადრაკე 36. ქაოსური, გაურკვეველი მდგომარეობა 38. ჟანგბადის ალოტროპიული სახეცვლილება 40. მაღალი წრე საზოგადოებაში 41. ქიმიური ჭურჭელი 43. მინის გადასახადი.



კროსვორდი შეადგინა დათო ფი[illegible]

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 7. პანაცეა; 9. ტონიაცი; 10. თვალსაწიერი; 11. მიმი; 13. ამაო; 15. ანტიგუა; 18. კო[illegible] 20. ლიტანია; 21. ბაღდადი; 23. ესენცია; 26. აპლომბი; 27. „აკაი"; 30. ცაცხ; 32. აპარტამენტი; 33. უტიკ[illegible] ტანკერი.

ვერტიკალურად: 1. შარჟი; 2. ნართი; 3. გარლანდი; 4. ატრიბუტი; 5. ფინია; 6. სცენა; 8. გრაცია; 12. მონ[illegible] 14. მინიატიურა; 16. კორიდა; 17. ბარონი; 19. აზრი; 20. „ლილე"; 22. დეპარდიე; 24. სუპრემატი; 25. დოლ[illegible] კარტი; 29. იანკი; 30. ცირკი; 31. ხეირი.


დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.